მეორე ფრე

“ყუბანი” (კრასნოდარი) – “დინამო” (თბილისი) – 2:2 (1:1).

კრასნოდარი. “ყუბანის” სტადიონი. 12 აპრილი.

“ყუბანი”: არტიომენკო, პოლოვინკო, გრიშინი, კომაროვი, ჩებოტარიოვი, ერკოვიჩი, ჩუგუნოვი (შიტიკოვი), კუკინი, პლოშნიკი, კალეშინი (სემენიუკოვი), ხასანოვი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე (გ. მაჩაიძე), ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (კაკილაშვილი), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ლ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:4. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჟვანიამ (3) და დოციამ.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტები – კრასნოდარელი ფეხბურთელები მეორე მატჩს ატარებდნენ საკუთარ მოედანზე და ადგილობრივი ახალი სტადიონის (იგი 20 ათას მაყურებელს იტევს) ტრიბუნებზე, ამჯერადაც ტევა არ იყო.

მასპინძლებს, რომლებმაც ურიგოდ როდი ჩაატარეს გათამაშების სასტარტო მატჩები (ერევანში წააგეს მინიმალური ანგარიშით 0:1, ხოლო “ლოკომოტივთან” ნულოვანი ფრე ითამაშეს სახლში), რომ იტყვიან, “ერთი სული ჰქონდათ” სეზონის პირველი ბურთი გაეტანათ ტიტულოვანი მეტოქისთვის. განსაკუთრებით აქტიურობდა პირველი ლიგის შარშანდელი გათამაშების ერთ–ერთი საუკეთესო ბომბარდირი, გუნდის ვეტერანი პლოშნიკი.

უნდა ითქვას, რომ წვიმისაგან დამძიმებული, ატალახებული მოედანი საგრძნობლად ართულებდა ფეხბურთელთა მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ანგარიში თბილისელებმა გახსნეს. ეს შეხვედრის მე–15 წუთზე მოხდა, როდესაც მსაჯმა დააჯარიმა კრსნოდარელები: კოპალეიშვილმა ზუსტად ჩააწოდა მ. მაჩაიძეს, რომლის დარტყმაც ასევე ზუსტი იყო.

ორი წუთის შემდეგ მასპინძლებმა (ხასანოვი) გაათანაბრეს ანგარიში – 1:1 და ტაიმიც ამ შედეგით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ტემპი კვლავ მაღალი იყო. ანგარიში დიდხანს უცვლელი რჩებოდა, რაც ძირითადად მეკარეების (განსაკუთრებით გაბელიას) დამსახურება გახლდათ. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ყიფიანმა კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე ერთი წუთით ადრე პლოშნიკმა მაინც “გააკეთა თავისი საქმე” – 2:2. ჩვენმა ფეხბურთელებმა მიმდინარე გათამაშებაში, რომელშიც ფრეთა 10–მატჩიანი ლიმიტია დაწესებული, მეორედ გაიყვეს ქულები თანაბრად.

მორიგ მატჩს თბილისის “დინამო” ჩაატარებს ერევანში “არარატთან” ხუთშაბათს, 17 აპრილს.

“ლელო”, 13 აპრილი, 1980 წ.